დადგენილება № 79/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების სპეციალობებზე 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფინალური გამოცდების ფორმატის შესახებ

26 ნოემბერი, 2020 წელი, დადგენილება № 79/2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N 699 დადგენილების "იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N 322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N 1127365 ბრძანების “2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 40),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **საშემსრულებლო ფაკულტეტზე** 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ფინალური გამოცდების ჩატარების ფორმატი დამტკიცდეს შემდეგი სახით:
   1.1. იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც გამოცდებს აბარებენ ინდივიდუალურად, გამოცდები ჩატარდეს სტუდენტის შერჩევით ონლაინ-ფორმატით, ან ჩანაწერის საშუალებით საგამოცდო კომისიასთან;
   1.2. იმ სტუდენტებითვის, რომლებიც გამოცდის ჩაბარებისათვის საჭიროებენ კონცერტმაისტერს, გამოცდა ჩატარდეს საგამოცდო კომისიასთან ონლაინ-ფორმატში პარტიის ჩაბარების ან პარტიის ჩანაწერის გაგზავნის გზით;
   1.3. საანსამბლო მიმართულებაზე გამოცდები ჩატარდეს საგამოცდო კომისიასთან ონლაინ-ფორმატში პარტიის ჩაბარების ან პარტიის ჩანაწერის გაგზავნის გზით;
   1.4. საოპერო მიმართულებაზე გამოცდები ჩატარდეს საგამოცდო კომისიასთან ონლაინ-ფორმატში პარტიის ჩაბარების ან პარტიის ჩანაწერის გაგზავნის გზით;

1.5. კამერულ, საკონცერტმაისტერო, ჯაზის მიმართულებებზე გამოცდები ჩატარდეს საგამოცდო კომისიასთან ონლაინ-ფორმატში პარტიის ჩაბარების ან პარტიის ჩანაწერის გაგზავნის გზით;

1.6. საგუნდო მიმართულებაზე გამოცდები ჩატარდეს საგამოცდო კომისიასთან ონლაინ-ფორმატში.

1.7. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის აკადემიური სიმღერის მიმართულების სტუდენტებისთვის დამამთავრებელი გამოცდა კამერულ სიმღერაში ჩატარდეს 2020 წლის 24-30 დეკემბრის პერიოდში ფიზიკურად.

2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის **კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე** 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ფინალური გამოცდების ჩატარების ფორმატი დამტკიცდეს შემდეგი სახით:

2.1. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე გამოცდები ჩატარდეს ონლაინ-ფორმატით.

3. საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულების ხელმძღვანელებს დაევალოთ 3 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისიის შედგენა ონლაინ გამოცდებისთვის და საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანის ინფორმირება **2020 წლის 5 დეკემბრამდე.**

4. საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულების ხელმძღვანელებს დაევალოთ 3 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისიის შედგენა ფიზიკურ ფორმატში ჩასატარებელი გამოცდისთვის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისათვის დისციპლინაში „კამერული სიმღერა“ და უზრუნველყონ საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანის ინფორმირება **2020 წლის 5 დეკემბრამდე.**

5. საშემსრულებლო ფაკულტეტის და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ სასწავლო დეპარტამენტის ელექტრონული მართვის სისტემის სპეციალისტის, დავით ხავთასის, სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტის, რუსუდან თაბაგარის და სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა კალანდაძის ინფორმირება საგამოცდო კომისიების შესახებ **2020 წლის 7 დეკემბრამდე.**

6. სასწავლო დეპარტამენტს დაევალოს:

6.1. სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ნანა კალანდაძემ

ა) შეათანხმოს ორივე ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელებთან დისტანციური ფორმატის გამოცდების თარიღები და შეადგინოს შესაბამისი განრიგი **2020 წლის 5 დეკემბრამდე;**

ბ) უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ელ მართვის სისტემის სპეცილისტის დავით ხავთასის და საშემსრულელბლო ფაკულტეტის დეკანის თეონა ბუაძის ინფორმირება საგამოცდო თარიღების შესახებ **2020 წლის 5 დეკემბერს;**

გ) შეადგინოს წინასწარი გეგმა გრაფიკი სტუდენტების სამეცადინო აუდიტორიებით სარგებლობის მიზნით

დ) უზრუნველყოს წინასწარი გეგმა გრაფიკის ადმინისტრაციისთვის მიწოდება, სტუდენტების შენობაში დაშვების მიზნით

6.2. სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტმა რუსუდან თაბაგარმა შექმნას Google drive ფორმა, რომელის საშუალებითაც მოახდენს საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულებების მიხედვით იმ სტუდენტების კლასიფიკაციას, რომლებიც:

ა) გამოცდას აბარებენ საგამოცდო კომისიის წინაშე ონლაინ-ფორმატში, **2020 წლის 5 დეკემბრამდე;**

ბ) გამოცდას აბარებენ საგამოცდო კომისიას ჩანაწერის გაგზავნის გზით, **2020 წლის 5 დეკემბრამდე.**

გ) დეპარტამენტის სპეციალისტმა რუსუდან თაბაგარმა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ელ. მართვის სისტემის სპეცილისტის, დავით ხავთასის და საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანის თეონა ბუაძის ინფორმირება 6.2 „ა“ და „ბ“ პუნქტებში იდენტიფიცირებული სტუდენტების შესახებ არა უგვიანეს **2020 წლის 6 დეკემბრისა**

6.3. სასწავლო პროცესის ელ. მართვის სისტემის სპეცილისტმა, დავით ხავთასმა

ა) უზრუნველყოს ონლაინ-ფორმატის გამოცდებისათვის ბმულის მომზადება და დაგზავნა საგამოცდო კომისიის წევრებთან, აგრეთვე საშემსრულებლო ფაკუტლეტის დეკანთან თეონა ბუაძესთან არა უგვიანეს **2020 წლის 12 დეკემბრისა;**

ბ) უზრუნველყოს 6.2-ის „ა“ პუნქტში კლასიფიცირებული სტუდენტები უზრუნველყოს ონლაინ გამოცდისთვის შექმნილი ბმულით **2020 წლის 12 დეკემბრისა;**

გ) უზრუნველყოს 6.2. „ბ“ პუნქტში მითითებული სტუდენტებისათვის Google drive ბმულის შექმნა და მათი ელ. მართვის სისტემით გადაგზავნა **2020 წლის 6 დეკემბრისა**.

დ) უზრუნველყოს აკადემიური სიმღერის მიმართულების BA/MA საგანმანათლებლო პროგრამის სტდუენტებისთვის კონცერტმაისტერის თანხლების ჩანაწერების Google drive-ზე ატვირთვა და დაგზავნა არაუგვიანეს **2020 წლის 30 ნოემბრისა**

6.4. იმ სტუდენტების მიერ, რომლებიც აპირებენ გამოცდის ჩაბარებას საგამოცდო ნამუშევრის ჩანაწერის სახით, ჩანაწერი ატვირთოს სასწავლო დეპარტამენტის მიერ გაგზავნილ Google drive ბმულზე, არა უგვიანეს **2020 წლის 11 დეკემბრისა;**

7. საგამოცდო განრიგზე მონიტორინგი დაევალოს სასწავლო დეპარტამენტს

8. საშემსრულებლო ფაკულტეტზე საგამოცდო სესიის საგანგებო ვითარებაში წარმართვაზე პროცესის კოორდინირება დაევალოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს თეონა ბუაძეს
9. ონლაინ საგამოცდო პროცესის ტექნიკური ხელშეწყობა გამოცდის დღეებში დაევალოს IT სამსახურს
10. დადგენილება გადაეგზავნოს სასწავლო დეპარტამენტს, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ორივე ფაკულტეტის მიმართულებათა ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, IT დეპარტამენტს;
11. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
12. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
13. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე